ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3235707

ნომერი: AR1498837

თარიღი : 26.04.2017

გაცემის თარიღი : 04.05.2017

გაცნობის თარიღი : 04.05.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 89/24 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შალვა ქურიძე პ/ნ 01017007533
- თბილისი გ.ახვლედიანის ქ. N 25

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი განაცხადი, რომელიც ეხება ქ. თბილისში (სექტორი – დიდუბე), დავით აღმაშენებლის გამზ.N89/24-ში

მდებარე შენობის ტერასაზე საჩრდილობლის მოწყობისა და ფასადის მოპირკეთების საკითხს. პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის სამუშაოებს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განხორციელების შესაძლებლობასაც სამსახური ადასტურებს წერილობით. ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ ''საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (არსებული მდგომარეობის ფოტო, საპროექტო ფოტომონტაჟი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ს/კ N 01.13.08.006.054.01.516, N 882013091902; შპს ,,მონოლითი''-ს 2017 წლის 13 აპრილის N20/17 კონსტრუქციული დასკვნა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში (სექტორი – დიდუბე), დავით აღმაშენებლის გამზ.N89/24-ში მდებარე შენობის ტერასაზე საჩრდილობლის მოწყობისა და ფასადის მოპირკეთების შესაძლებლობას. გაითვალისწინეთ, რომ სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დადებითი პოზიცია (მეტროს ინფრასტრუქტურასთან შესაძლო შემხებლობის თავიდანასაცილებლად)

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge